საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №144

20/12 წ. "03" 07

ქ. თბილისი

ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 3 ივლისის სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 88 მუხლის 7[1] პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 2 წლის ვადით.
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 3 ივლისის №5 სხდომის ოქმის მე-12 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2012-2013 სასწავლო წლიდან და გავრცელდეს მხოლოდ იმ სტუდენტებზე რომლებიც აღნიშნულ პროგრამაზე ჩაირიცხნენ დაწესებულების ინსტიტუციური აკრედიტაციის ვადის გასვლამდე.
4. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ზაჩანა შენგელია

მდივანი
დიმიტრი ალავიძე